მატჩი "ოლიმპიასთან"

თბილისი, "ლოკომოტივის სტადიონი" 8 თებერვალი.

"დინამო" (თბილისი)– "ოლიმპია" (ქ. ლიუბლიანა. იუგოსლავია) 5:0 (3:0).

"დინამო" გაბელია (გოგია) ხიზანიშვილი, ქორიძე, ხინჩაგაშვილი (ჭილაია), კოსტავა, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (გ. მაჩაიძე), გუცაევი (წერეთელი), ყიფიანი, შენგელია.

"ოლიმპია" დალანოვიჩი, ბრაცანოვიჩი, ხაზაბენტი (კარიჟი), კლამპფერი, დოვანჯიჩი, სამატოვიჩი, კომლიენოვიჩი (ამერშიკი), იოვიჩევიჩი, კოჟელი, გრუბორი, რაჟიჩი.
მსაჯი მ. მიმინოშვილი (თბილისი).

როცა ფეხბურთში ერთი გუნდი მეორეს უგებს ანგარიშით 5:0, როგორც უხერხულია მატჩს უწოდო საინტერესო და დაძაბული. 5 "მშრალი" ბურთი ცალკე კარში – ეს ნიშნავს გამარჯვებულის სრულ, უაპელაციო უპირატესობას. ყველა სხვა კომენტარი, ალბათ, დამარცხებული გულის მოსაბრუნებლად თუ შეიძლება გაკეთდეს.

მაგრამ არსებობს გამონაკლისი წესიდან და ამ შემთხვევაში საქმე სწორედ ასეთ გამონაკლისთან გვქონდა. იუგოსლავიელ ფეხბურთელთა მიმართ ყოველგვარი სტუმარმასპინძლური "რევერანსების" გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ოლიმპია" საინტერესო გუნდია, ტექნიკურად, ფიზიკურადაა კარგად მომზადებული, შეთამაშებული, ამდენად, თამაშიც გამართულად, სანახაობრივად მაღალ დონეზე მიმდინარეობდა. ამაში, იმედია, დაგვეთანხმებიან ის მაყურებლებიც, რომლებიც უამინდობისა და თოვლჭყაპის მიუხედავად, მაინც საკმაო რაოდენობით იყვნენ სტადიონის ტრიბუნებზე.

მათთვის, ვინც არ გასცნობია ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ცნობებს "ოლიმპიის" შესახებ, გავიმეორებთ რომ ესაა იუგოსლავიის ერთ–ერთი საუკეთესო გუნდი, მის რიგებში არაერთი საუკეთესო მოთამაშე და ეროვნული ნაკრების წევრი აღზრდილა. იუგოსლავიის ახლანდელი ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ "ოლიმპია" V–VI ადგილზეა და თამამად შეუძლია იბრძოლოს საპრიზო ადგილზე გასასვლელად.

და აი, ასეთმა გუნდმა თავისი პირველი ამხანაგური მატჩი თბილისის "დინამოსთან" წააგო ანგარიშით 0:5. თამაშის წინ ჩვენ ვესაუბრეთ ორივე კოლექტივის უფროს მწვრთნელებს ნ. ახალკაცსა და დ. მილოშევიჩს, რომლებსაც მხოლოდ ერთი კითხვა დავუსვით: რა მნიშვნელობას ანიჭებენ მომავალ მატჩს, რა მიზნებს ისახავენ ამ შეხვედრაში. პასუხი ერთი და იგივე იყო: ეს ძალზე საპასუხისმგებლო, საბრძოლო თამაშია, მოწმდება მოთამაშეთა სპორტული ფორმა მზადების ახლანდელ ეტაპზე. ამას გარდა, საერთაშორისო ამხანაგური მატჩი მაყურებელთა თანდასწრებით გვავალებს გამოვავლინოთ შესაძლებლობათა მაქსიმუმიო.

რამ გამოიწვია სტუმართა მარცხი? ზევით ჩვენ აღვნიშნეთ "ოლიმპიის" დადებითი მხარეები და ღირსებები (ცალკეულ მოთამაშეთაგან გამოვყოფთ ბრაცანოვიჩს, კომლიენოვიჩს, კოჟელს, რაჟიჩს), მაგრამ მას საკმარისად აქვს ნაკლოვანებებიც. კერძოდ, გუნდს აკლია აგრესიულობა, შეტევის სიმწვავე, გადამწყვეტი მოქმედება, სახიფათო სიტუაციები. რაჟიჩის გარდა (#11) მეტოქის საჯარიმო მოედანზე თამაშს ყველა განაგრძობს ისევე, როგორც შუა მინდორში, დროზე არ იხსნებიან გადამწყვეტი დარტყმებისთვის, არასაკმარისია სისწრაფე, მცველებს ტაქტიკური შეცდომები მოსდის საკუთარი კარის სიახლოვეს.

ლიუბლიანის "ოლიმპიას" ჩვენ კიდევ ორჯერ ვნახავთ სარბიელზე – მომავალ შაბათს ისევ თბილისის "დინამოსთან" და ორშაბათს – ქუთაისის "ტორპედოსთან". საბოლოო შთაბეჭდილების შესახებაც მაშინ ვილაპარაკეთ, ახლა კი რამდენიმე სიტყვა მთავარზე, რაც ყველა ჩვენგანს აინტერესებს: როგორ თამაშობს თბილისის "დინამო".

წინასასეზონო მზადების თითოეულ ეტაპს თავისი კონკრეტული ამოცანები აქვს. კოლექტივიც ამ პერიოდების შესატყვისად მუშაობს. ახლა თბილისელები, უდავოდ, საუცხოოდ არიან მომზადებული ფიზიკურად, ბევრს მოძრაობენ, ტემპი მაღალია, სისწრაფის ნაკლებობა არ იგრძნობა არც ერთ რგოლში. კომბინაციურ გათამაშებებში მონაწილეობისთვის იქმნება რამდენიმე ვარიანტი, ესე იგი თამაშში ჩაბმულია ყველა ფეხბურთელი, ტაქტიკური ამოცანები წყდება კოლექტიურად, მთლანობაში.

ერთი სიტყვით, დინამოელებმა საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს და, რა თქმა უნდა, ღირსეულადაც გაიმარჯვეს. ანგარში მე–5 წუთზე გახსნა გუცაევმა, რომელმაც კარგად შეარჩია ადგილი კარის წინ, 30–ე წუთზე შენგელიამ თავისი ერთ–ერთი გარღვევა მეორე გოლით დაამთავრა, ხოლო ტაიმის დასასრულს ყიფიანმა თავით ზუსტად დაარტყა ბურთი კარის შორეულ კუთხეში – 3:0.

შესვენების შემდეგ, 53–ე და 85–ე წუთებზე დარასელიამ კიდევ ორჯერ აიძულა დალანოვიჩი გამოეტანა ბურთი ბადიდან. მთელი შეხვედრა მიმდინარეობდა უაღრესად კორექტულ, მეგობრულ ვითარებაში.

მატჩის საუკეთესო მოთამაშეებად ჟიურიმ მიიჩნია "ოლიმპიის" მცველი ბრაცანოვიჩი და "დინამოს" თავდამსხმელი შენგელია, რომლებსაც სპეციალური პრიზები გადაეცათ.

ბ. ქორქია
“ლელო” 10.02.1977 წ.